– შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
– მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
6.1.2 შემსყიდველი ვალდებულია:
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

6.2.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:
– მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტის შესაბამისად.
6.2.2 მიმწოდებელი ვალდებულია:
– მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულებების 0,1%-ის ოდენობით.
7.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა.

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია **2012 წლის 30 დეკემბრის** ჩათვლით.
8.2 წინამდებარე ხეშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხეშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3 ფასების ცვლილებების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებებს.

9. ავანსის გაცემისა და გამოყენების წესი

9.1. საჭიროების შემთხვევაში, მომწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს დასაბუთებული წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით;
9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ავანსის გაცემის საკითხი;
9.3. შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებით გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მომწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაა¬თი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას;
9.4 მომწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) პროცენტის ოდენობით;
9.5. საავანსო თანხა მომწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით;
9.6. მიმწოდებელი ვალდებულია ავანსის მიღებიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველს წარუდგინოს ავანსის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
9.7. შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის და/ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტი¬სათვის მომწოდებელს არ აქვს დაქვითული ავანსი ან მისი ნაწილი;

ხელშეკრულება № 133
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი "05" დეკემბერი 2012 წელი

ერთის მხრივ შპს „Goderdzi Resorts" (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი დირექტორის ***ვაჟა დიასამიძის*** სახით და მეორეს მხრივ შპს „ აკა"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი გენ. დირექტორის დავით მკალავიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ტრაქტორის აქსესუარების შეძენა (CPV კოდი: 34390000):

№	დასახელება	თანხა	შენიშვნა
1	Pisten Bullys სათადარიგო ნაწილები (INVOICE 1175)	12392	შემდგომში „საქონელი"

1.2 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ბოლო ვადა განისაზღვროს 2012 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 12 392,00 (თორმეტი ათას სამას ოთხმოცდა თორმეტი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებელის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფინანსების თავისებურებათა გათვალისწინებით

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის მომსახურების ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მომსახურების ადგილია თბილისი, უნივერსიტეტის ქ.#6

4.2 შესყიდვის ობიექტის მომსახურება დასტურდება მიღება–ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები (შემსყიდველის მხრიდან შპს „Goderdzi Resorts"-ის დირექტორი ვ. დიასამიძე)

5. ანგარიშსწორების ფორმა

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

5.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის მიღებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

9.8. ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწო-რების ფორმით მომწოდებლის მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

9.9. შემსყიდველის მიერ ავანსის დაკავება მოხდება მომწოდებლის მიერ ყოველ ფაქტიუ¬რად შესრულებული სამუშაოს 50 %-ის ოდენობით.

10.ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: ომი, ნებისმიერი ხასიათის საბრძოლო ან სამხედრო მოქმედებები, დივერსიები, სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, ხანძარი და სხვა გარემოებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაჭრან მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება საჭიროებს წერილობით ფორმას და ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით და განიხილება მის განუყოფელ ნაწილად.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება დამრღვევი მხარისადმი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.

12.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

12.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2(ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები და იურიდიული მისამართები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს **„Goderdzi Resorts“**	შპს "აკა"
დირექტორი ვაჟა დიასამიძე	გენ. დირექტორი დავით მკალავიშვილი
სს „თი-ბი-სი“ ბანკი ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE12TB7015036080100001	სს „რესპუბლიკა“ ა/ა GE67BR0000000006467464
მის: ქ.ბათუმი, კომახიძია ქ № 119	მის: თბილისი, უნივერსიტეტის 6 ს/ა 204 875 082